

ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი

### “მოუწესრიგებელი განორისი”\*

პინდაროსის (პინდარეს) შემოქმედების გაგებისათვის

“აღსდექი მკვდრეთით, დკოთაებრივო პინდაროს, შენ, რომელიც  
განადიდებდი გარდასულ ხანად კორინთოსა თუ მეგარის ლირსეულ  
კაცთა მებრძოლ ტაიჭებს; შენ, რომელიც ვლობდი შეუდარებელ  
ნიჭს უსასრულოდ გელაპარაკა ისე, რომ არაფერი გეოქვა; შენ,  
რომელსაც შეგეძლო შეგეთხება ლექსები გაუგებარი, თუმცა ლირსი  
საოცარი აღფრთოვანების“.

კოლტერი, ოდა XVII

ქართველმა მკითხველმა, რომელიც  
საუკუნეების განმავლობაში ეზიარებოდა  
აღმოსავლური პოეტური სულის გენისა და  
შეითვისა მისი მდიდარი სამყარო, შესაძლოა,  
შედარებით მნელად მთიღოს ძველი ბერძნული  
პოეზიის ისეთი წარმომადგენელი, როგორიც არის  
პინდაროსი – “აღმატებულად ბერძნი, ბერძნ  
პოეტთა შორის” (ასე მოიხსენიებონ მას კლასიკურ  
ფილოლოგიაში). მისი ქმნილებები ყოველთვის  
შორეული იყო ეპოპელი მკითხველისთვისაც კი,  
იმ მკითხველისათვის, რომელმაც ყველაზე ადრე  
შეიგრძნო ძველი ბერძნული პოეზიის მშვენიერება.  
პინდაროსის შემოქმედებას, რომელიც ესოდებ  
რთული და ძნელად აღსაქმედი იყო, უხალისოდ  
მიმართავდნენ თავად მკვლევარნიც. მაგრამ ვინც  
კი ოდესმე ჩასწვდომია ამ დიდი შემოქმედის  
აზროვნების სიღრმესა და პოეტური ასოციაციების  
სიმძაფრეს, ვისაც აღუქჯამს მისი ეპოქა და მისთვის  
არსებოთ იღეადებს ზიარებია, იგი ბოლომდე  
დარჩნილა ამ პოეზიის ტყველობაში. თანამედროვე  
მკითხველი მიეჩინა იმ აზრს, რომ ლირიკა,  
ლიტერატურის მრავალ სახეობათა შორის, ყველაზე  
ნათლად წარმოსახავს პირვენების აზრებსა და  
განწყობილებებს. ეს მკითხველი, საკუთარი  
მსოფლადშიძან გამომდინარე წარმოიდგენს ძველი  
ბერძნული ლირიკის შემოქმედსაც, რომლის  
სიტყვებშიც თავისი ცხოვრების ული  
გამოცდილების აზრს პოელობს და ამდენად,  
მისთვის ეს პოეზია შედარებით იოლი აღსაქმედი  
ხდება. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ მონოდიურ  
ლირიკას,<sup>1</sup> რომელიც მკითხველს უქმნის ისეთ  
ილუზიას, თითქოს იგი ძველი ეპოქის ცოდნის  
გარეშეც სწოდება იმ პოეზიას, რომლის მიღმაც  
აღმართულია აჩრდილები არქილოქოსის, საპფოსი,

ალკეოსისა თუ ანაკრეონის.

ქორიკული ლირიკა, რომლის წარმომადგე-  
ნელიც არის პინდაროსი, მსმენელისა თუ  
მკითხველისაგან მოითხოვს ანტიკური ხანის  
საზოგადოების, კულტურის სრულყოფილი სურათის  
წარმოდგენას. ხოლო ეს სურათი ფრიად შორეული  
და უჩვეულოა.

ანტიკური სამყაროს მხატვრული მემკვიდრეობა  
ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით,  
რომ მასში პირველად არის წარმოჩენილი ეთიკურ-  
ესთეტიკური პრობლემები; იგი ჩვენთვის  
მნიშვნელოვანია აგრეთვე პრობლემათა  
გადაწყვეტის სრულყოფილებითა და მხატვრული  
აზროვნების ცხოვლებით. სწორედ ამიტომ,  
ძველი საბერძნების ხელოვნება, ლიტერატურა და  
მითოსი დღესაც მრავალმხრივი კვლევისა და  
კამათის საგანია. კამათისა იმიტომ, რომ ანტიკურ  
სამყაროზე სრული წარმოდგენის შექმნას მრავალი  
გარემოება უშლის ხელს. უპირველეს ყოვლისა,  
ჩვენ ამ სამყაროსგან ხანგრძლივი პერიოდი  
გვაშორებს. დროთა განმავლობაში შეიცვალა იმ  
ფასეულობათა აღქმა, რომლებიც ფრიად  
მნიშვნელოვანი შეიძლება ყოფილიყო ძველი  
სამყაროსათვის. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ  
იმხანად ხელოვნება განუყოფელი იყო  
საზოგადოების სულიერი თუ მატერიალური  
ცხოვრებისაგან, რომ ხელოვნებისა თუ  
ლიტერატურის ცალკეული ქმნილები  
გაიაზრებოდა როგორც საკულტო, ასევე  
სოციალური არსებობის აუცილებელ ნაწილად.  
ყველივე ამის და კიდევ მრავალი სხვა ნიუანსის  
გათვალისწინება მოუწევს მკითხველს, როდესაც  
შეუდგება ძველი ბერძნული საგუნდო-  
სადღესასწაულო ლირიკის კითხვას, სადაც ესოდენ

\* პინდაროსის შემოქმედების სრული თარგმანი პირველად გამოდის წიგნად. თარგმანს თან ახლავს გრევლი შესავალი წერილი და განმარტებები. გთავაზობთ ამ წერილის შემოქმედულ ვარიანტს, რომელშიც მთარგმნელი ცდილობს პინდაროსის პოეზიის შესაცნობი გზა გაუსხანას ქართველ მკითხველს (რედ.).

დიდებულად აისახა ფილოსოფიურ თუ მხატვრულ, ესთეტიკურ თუ ეთიკურ, პიროვნულ თუ საზოგადოებრივ განცდათა მშვენიერი სამყარო.

**საწყისები:** ძველი ბერძნული საგუნდო ლირიკის საწყისების ძიებას უძველეს ხანაში გადავყევარო, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ლირიკის აღმოცენება უშუალოდ პოლისის შექმნასთან არის დაკავშირებული. როგორ გავიგოთ ეს ნათქვამი? საგუნდო ლირიკა თავისი ფორმითა და შინაარსით რიტუალური სიმღერებიდან იღებს სათავეს. საწეს-ჩვეულებო სიმღერების საბერძნეთში, ისევე როგორც ძველი სამყაროს სხვა ქვეწებში, ოდითგან მდეროდნენ. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ჯერ კიდევ ამ ფოლკლორულ სტადიაზე შეიქმნა რიტუალური სიმღერების სამნაწილიანი სტრუქტურა, რომელიც იყო დასაბამი ჰიმნისა: პირველი ნაწილი ეწ. „მოხმობა“ დამთაქისა, შეა ნაწილი „თხოობა“, სადაც გადმოცემული იყო რაიმე მითი ამ დათაქის შესახებ და ბოლო ნაწილი – „ვედრება“ – შემწეობის თხოვნა მოხმობილი დათაქისათვის.

პოლისის ეპოქაში ჰიმნს ახალი საზოგადოებრივი ფუნქცია დაეკისრა: თუ პოლისის წინა ეპოქაში ჰიმნებში გამოიხატებოდა საგვარეულო, ან ამა თუ იმ ტომის კულტოაკანისცემა მხოლოდ, პოლისის ეპოქაში მათში უნდა ასახულიყო სახელმწიფო კულტების თაყვანისცემა, რაც შექმნიდა პოლისის ერთიანობის მყარ საფუძველს. რიტუალური სიმღერის საზოგადოებრივი ფუნქციით დატვირთვამ დასაბამი მისცა სწორედ საგუნდო ლირიკის წარმოშობას. ყოველი მსხვერპლშეწირვა, ყოველი წესისგება, ყოველი საზეიმო სელა სიმღერისა და ცეკვის თანხლებით უნდა აღსრულებულიყო. ეს მშვენიერი იყო, ამავე დროს, მასში თავისებურად უნდა ასახულიყო პოლისის ინტერესები. და არა მხოლოდ სახელმწიფო კულტების თანამხლებნი იყენებო საწეს-ჩვეულებო სიმღერები, ისინი ამშვენებდნენ მოკვდავთა ყოველდღიურ ყოფასაც. სპეციალური სიმღერებით აღინიშნებოდა ქორწინება („ჰიმენაორნები“), გარდაცვალება („ორენები“), უფრო მეტიც, ნადიმიც კი პოლისური რელიგიის სისტემაში იყო მოქცეული: სუფრასთან განმტკიცებული მეგობრობა მომავალ ბრძოლებში ერთსულოვნების საწინდარი უნდა ყოფილიყო, რაც თავისებურად ისახებოდა სახოტბო („ენომიონებში“), სუფრულ („სკოლიონებში“) თუ სატრფიალო სიმღერებში.

ამავე ხანებში გითარდება მუსიკალური ხელოვნებაც. მუსიკა და პოეზია ადრეულ საბერძნეთში მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ისინი ქმნიდნენ ერთ მთელს, თუმცა წამყვანი ამ ერთიანობისა მაინც იყო პოეზია.<sup>2</sup> ბერძნულ მუსიკაში ძვ.წ. VIII საუკუნეში შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები: სიმებიანი საკრავების გვერდით<sup>3</sup> წნდება ახალი, სასულე ინსტრუმენტები, რომლებიც აზიიდან შემოიტანა დიონისეს კულტმა და რომლებმაც თან მოიყოლეს ახალი გამომსახველობითი საშუალებანი. აფილზე (ფლეიტაზე) დაკვრის ხელოვნებამ

საბერძნეთში განვითარების თავისი გზა პოვა. ეს იყო მუსიკა, რომელიც არ საჭიროებდა სიტყვებს, რომელსაც მკვეთრად შესაგრძნობდა ირაციონალური ხმოვანება პერნდა და რომელმაც ამ ხანებში უკვე გააცნობიერა თავისი საშუალებანი: განავითარა სპეციფიური ჰანგი, გამოიმუშავა მუსიკალური ნაწარმოების აგებულების მკაცრად განსაზღვრული ფორმები.<sup>4</sup> ძველი ბერძნული საწეს-ჩვეულებო ლირიკა, რომელიც მჭიდროდ იყო მუსიკასთან დაკავშირებული, დადგა რეფორმის აუცილებლობის წინაშე: საჭირო იყო ჰიმნით არქაული, პრიმიტიული ფორმების გადამუშავება. ახალი მუსიკალური პანგების მრავალფეროვნების გათვალისწინებით ჰიმნისთვის უნდა მოხახულიყო ისეთი ფორმა, რომ სიტყვის ძალმოსილებას კვლავ ებატონა მუსიკაზე. ეს განხორციელდა ცნობილი მუსიკალურ-პოეტური რეფორმით ძვ.წ. VII საუკუნის შეა ხანის სპარტაში, ძველ ბერძნულ პოლისთაგან უძლიერესსა და უაღრესად ორგანიზებულ სახელმწიფოში. აქ დაედო დასაბამი კლასიკურ საგუნდო ლირიკას, აქ დაედო დასაბამი იმ შეიდ ლიტერატურულ თაობასაც, რომელიც ბერძნული ქორიკული ლირიკის ისტორიას ქმნის.

გზა პინდაროსამდე: სპარტა, ძვ.წ. VII საუკუნის საბერძნეთის უძლიერესი და უმდიდრესი სახელმწიფო, ფართოდ უხსნიდა თავის კარებს ხელოვნების წარმომადგენლებს. საყოველთაოდ სახელმანოშეული სპარტული ზეიმები მრავალ ხალხს იზიდავდა. ძვ.წ. 676/673 წლებში სპარტაში აპოლონ კარნეოსისადმი მიძღვნილ დორიულ დღესასწაულს ედება დასაბამი და ამ მოვლენის შემოქმედად ტრადიცია ლესბოსელ პოეტსა და მუსიკოსს ტერპანდროსს მიიჩნევს. მას მიეწერება ეწ. „კითაროდიული ნომოსის“ („ნომოსი“ – „კანონი“, „წესი“) შექმნა, ანუ კითარაზე დაკვრის ხელოვნების ლექსისადმი დაქვემდებარება. ძვ.წ. 665 წლს საფუძველი უდიება კიდევ ერთ სპარტულ დღესასწაულს „გიმნოპედიას“ („მშველ ყმაწვილთა ცეკვა“) და მის შემოქმედად ასახელებენ თალესს, პოეტსა და მუსიკოსს ღორიული კრებადან. მას მიეწერება პირველ პერიოდი და პიპორქემათა შექმნა, ანუ ნომოსის სოლო სიმღერიდან საგუნდო სიმღერად გარდაქმნა კითარის აკომპონიმენტით. მათვე თანამედროვე იყო მესამე მუსიკოსი და პოეტი კლონოსი, რომელ საც ტრადიცია ავლოდიური ნომოსის „შემოქმედად რაცხს; ეს არის სიტყვიერი კომპოზიცია წარმოდგენილი ავილის აკომპონიმენტით. ასე იკვრებოდა წრე საგუნდო ლირიკის პირველი თაობისა, რომლის მოღვაწეობაც მოასწავებდა სიტყვის გამარჯვებას ჰანგს. ესოდენ ზოგადი მსჯელობის მიზეზი ჩვენამდე მოღწეულ ცნობათა სიძნეზე, სიმართლე დეგენერებშია ჩამირულ.

ბერძნული საგუნდო ლირიკის მეორე თაობა ალემანის სახელთან არის დაკავშირებული. მისი მოღვაწეობის ხანა ძვ.წ. VII საუკუნის II ნახევარს ემთხვევა – მონოდიური ლირიკის ძირითად ფორმირების ხანას. პირველული ლირიკის განვითარებამ, ბუნებრივია, გავლენა იქონია მის

პოეზიაზეც. ალექსანდრა საგუნდო ლირიკის მკაცრად განსახლებულ საზოგადოებრივ ფუნქციაში შეიტანა პიროვნების, ადამიანის განწყობილების თემა და ამით დაამჟარა ერთგვარი წონასწორობა, რაც აუცილებელი იყო უანრის თავისუფალი განვითარებისათვის. ალექსანდრა ბერძნულ ტრადიციაში მიიჩნევენ ე.წ. “პართენიების” (“ქალწულთა სიმღერების”) შემოქმედად.

ამგვარად, ტერპანდროსმა დაამუშავა პიმნის დათავისადმი მიძღვნილი ნაწილი, ალექსანდრა წინა პლანზე წამოწია პიროვნული ინტერესი. პიმნის სრულყოფილებისათვის საჭირო იყო კიდევ ერთი ნაწილის – თხრობითი, მითოლოგიური ნაწილის – დამუშავება, რომელიც შეძლეს საგუნდო ლირიკის მესამე თაობის წარმომადგენლებმა – სტეიქოროსმა და არიონმა, რომელთა მოდგაწეობა ძვ.წ. 600 წლის მახლობელ სანებს ემთხვევა. ეს არის არქაული ბერძნული კულტურის სრული აყავების პერიოდი. მართალია, ამ დროისათვის სპარტა ჰილოტების ამბოხების გამო მუდმივი სამხედრო მზადეოფინის მდგომარეობაში იყო და მან სამუდამოდ დაუხსო კარი პოეზიასა და მუსიკას, მაგრამ დორიული კულტურის ცენტრმა გადაინაცვლა კორინთოში, ტირან პერიანდროსის კარზე, სადაც არანაკლები პირობები იყო შექმნილი მუსიკალური და პოეტური სელოვნების განვითარებისათვის. ამ პერიოდში აპოლონის ტაძარი დელფოში საბერძნეთის სულიერი ცხოვრების მართვის სადავებს იგდებს ხელთ. იგი თავის თავზე იდებს აპოლონისა და დიონისეს კულტთა რთული ურთიერთობის მოწესრიგებას, რასაც წარმატებით აღასრულებს კიდევ. ამის ერთ-ერთი გამოვლინება იყო დიონისური ავილის დელფოურ მუსიკალურ აგონებში ჩართვა (ძვ.წ. 586 წ.), რომიც დასრულდა მუსიკალური კრიზისი და დასაბამი მიეცა საგუნდო ლირიკას. პერიოდისა (აპოლონისადმი მიძღვნილ პიმნებს) და დიონირამბებს (დიონისესადმი მიძღვნილ პიმნებს) ერთმანეთის გვერდით მდეროდნენ. სტეიქოროსი ბერძნულ ტრადიციაში პერიოდის შემოქმედად ითვლება, ხოლო არიონი – დიონირამბებისა. რათქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე არ არსებობდა ამ ხასიათის სიმღერები. ტრადიციის თანახმად, მათ ახლებურად ააჯდერეს ისინი და ჩამოაყალიბეს საგუნდო სიმღერის მაღალი სტილის ფორმით.

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში არიონისა და ტერპანდროსის შემდეგ არ გამოჩენილა საგუნდო ლირიკის ისეთი შემოქმედი, რომელიც დირსეულად განაგრძობდა ამ სამი თაობის მიერ შემნილ ტრადიციას. და აი, დაახლოებით ძვ.წ. 540 წლის მახლობელ სანებში საგუნდო პოეზიის ასპარეზზე გამოჩნდება იბიკოსი, რომელიც, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თავისი შემოქმედებით ნაკლებად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი წინამორბედები. ამას თავისი ახსნა დაექმნება: დაახლოებით ძვ.წ. VI საუკუნის შეა ხანებისათვის ბერძნული კოლონიზაციის გავრცელება შეუძლებელი ხდება. სპარსეთმა მას აღმოსავლეთისკენ დაუხმო გზა, ხოლო კართაგენმა

– დასავლეთისაკენ. კონტინენტურ საბერძნეთში ერთბაშად ინინა თავი შინაურმა წინააღმდეგობებმა. დორიულ ქალაქებში სელისუფლების სათავეში დგება არისტოკრატული ოლიგარქია, ხოლო იონიურ ქალაქებში – დამაგოგიური ტირანია.

დმერთებისადმი მიძღვნილ საზეიმო პოეზიას ადარ შესწევდა ძალა, სამსახური გაეწია პოლისის ერთიანობისათვის. საჭირო იყო საგუნდო ლირიკის გადახალისება – მის ძირითად თემად არა დვითებრივი ძალის, არამედ ადამიანური ძალის წამოწევა, რისი აღსრულებაც შეძლო ქორიკული ლირიკის მეხუთე თაობამ, კერძოდ კი, მისმა დიდებულმა წარმომადგენელმა სიმონიდეს კეოსელმა (ძვ.წ. 556-468). მან ადამიანური ძალმოსილების დიდება მაღალი პოეტური სელოვნებით დაუკავშირა პოლისის ძალმოსილებას, რითიც მოქალაქეობრივმა დვაწლმა სახელმწიფოებრივი დატვირთვა შეიძინა. სიმონიდესმა საგუნდო ლირიკას შექმატა ორი ახალი ჟანრი: “ეპინიკები” (“გამარჯვების სადიდებლები”) და “ტრენები” (სახელოვანი მოქალაქეს “დასატირებელი სიმღერები”). ეს იყო იმდროინდელი საბერძნეთის საზოგადოებრივი და რელიგიური ცხოვრების ახალი ფორმის ექო. იმსანად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სრულიად ელინურ სპორტულ ასპარეზობებს, რომლებიც ასახრდოებდნენ არა მარტო პოლისური პატრიოტიზმის, არამედ საერთო-სახალხო ერთიანობის გრძნობებს. ასეთი ზეიმები დელფოს სამისნოს მოწოდებით სწორედ ძვ.წ. VI საუკუნეში გავრცელდა მთელ საბერძნეთში. 586 წელს დაარსდა პითიური თამაშები, 582 წელს – ისტომოსური, 573 წელს – ნემეური, მათ გვერდით აღადგინეს ძველი ოლიმპიური ასპარეზობებიც. მოქალაქეს გამარჯვება ასეთ აგონებზე ითვლებოდა სახელმწიფოებრივი გამარჯვებად. ძლევამოსილის საღიძებელი იმავე დროს იყო მისი ქალაქის (სახელმწიფოს) სადიდებელიც. რაც შეეხება სახელოვანი მოქალაქეს სიკედილს, ესეც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო. მისი სახით ქალაქი კარგავდა დირსეულ მოქალაქეს, სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველ პიროვნებას. მათთან გამოსახოვებლად იქრიბებოდა მთელი ქალაქი. ადამიანური ცხოვრების ორივე მომენტი – საზეიმოცა და სამგლოვაროც, ყველაზე სელსაყრელი იყო იმისათვის, რათა ყოველი დაფიქრებულიყო ცხოვრების არსზე, ადამიანის დანიშნულებაზე. ეს კი ჩინებულად გამოიყენა ქორიკულმა პოეზიამ, რომლის გარეშეც ვერ აღესრულებოდა იმსანად ვერცერთი რიტუალი, ვერცერთი ზეიმი. ასე შეიძრა საღღესასწაულო ლირიკის დაფილებათადმი მიძღვნილ პანგებში ადამიანური ხმიერება, რაც სიმონიდეს კეოსელის მაღალპოეტური ნიჭის დამსახურება იყო.

ადორძინებული და ახალ პოეტურ საფეხურზე აღმავალი საგუნდო ლირიკის მემკვიდრეობა გადაეცა მეექვსე თაობას, რომლის მოღვაწეობის აყვავების ხანად ძვ.წ. 470-460-იან წლებს მიიჩნევენ და რომლის წარმომადგენლებადაც გვევლინებიან ბაკეილიდესი და პინდაროსი – ორი სავსებით

განსხვავებული შემოქმედი, რომელთა ხასიათებიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ზუსტად განსაზღვრეს: “ზომიერი ტალანტი” (ბაკეილიდესი) და “მოუწესრიგებელი გენიოსი” (პინდაროსი).<sup>5</sup>

პინდაროსი დაიბადა თებეს მახლობლად მდებარე დაბა კინოსკეფალეში ძვ.წ. 518 წელს (სხვა ვერსიით – 522 წ.). მისი შემოქმედების დასაწყისი ხანა აღინიშნება მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენით – ეს არის ბერძენ-სპარსელთა ომების პერიოდი. ქსერქსეს ლაშქრობის დროს პინდაროსი უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი იყო. იგი დებულობდა შეკვეთებს თესალიელი ალევადებისაგან (პით. X), ათენელი ლტოლვილი მეგაკლესისაგან (პით. VII), თავად დიადი საბერძნების მოასპარეზებისაგანაც (პით. VI და XII). მაგრამ, როგორც პინდაროსის ქმნილებათა ქრონოლოგიიდან ჩანს, ამ პერიოდისათვის იგი წერდა უფრო მეტად დატაგბათადმი მიძღვნილ პიმნებს, ვიდრე ეპინიკიებს. როდესაც დელფომ და თებემ სპარსეთის მხარე დაიჭირეს (ძვ.წ. 480 წ.), პინდაროსმა ეს მოვლენა მიიღო როგორც გონივრული აქტი. მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა: ქსერქსე დამარცხდა (ძვ.წ. 479 წ.), ხოლო თებემ ძლივს დააღწია თავი “მოდალატის” სამარცხვინო სახელს. ყოველივე ეს პინდაროსმა მძაფრად განიცადა, რაც აისახა კიდევ მის მიერ დაახლოებით ამ პერიოდში შექმნილ VIII ისტორიულ რამდენიმდე მეტად მის მიერ და თებემშიც ჩანს კვალი პოეტის სულიერი წესილისა). საზოგადოებამ, როგორც ჩანს, დიდ პოეტს აპატია ეს გაუგებრობა. ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. 476 წელს მას იწვევენ სიცილიაში პიერონ სირაკუსელისა და თერონ აკრაგასელის ოლიმპიურ და პითიურ გამარჯვებათა ზემთხე. სიცილია ამ პერიოდისათვის ითვლებოდა საბერძნების პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად. აქ თავს იყრინენ და თავის იდეებს ქადაგებდნენ იმ დროის გამოხენილი საზოგადო მოღვაწეები, ფილოსოფოსები, შემოქმედნი. პინდაროსის შემოქმედებაში სიცილიური პერიოდი ითვლება მისი პოეტური აღმავლობის ხანად. სიცილიური ციკლის ოდები, როგორც პინდაროსის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები, ეპინიკიათა კრებულის პირველ ფურცლებზე მოათავსეს ალექსანდრიილმა სწავლულებმა (ოლ. I-VI, პით. I-III, ნემ. I).

ძვ.წ. 475 წლისათვის პინდაროსი ბრუნდება თებეში. აქ იგი კვლავაც აგრძელებს ოდების წერას სიცილიული გამარჯვებულებისათვის. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი, რასაც პინდაროსის სულიერ სამყაროში მძიმე კვალი უნდა დაეტოვებინა: პიერონ სირაკუსელი, რომელსაც პინდაროსმა რამდენიმე ბრწყინვალე ოდა უძღვნა, და რომელმაც ძვ.წ. 468 წელს მოიპოვა ეტლით სრბოლაში დიდი ხნის ნანატრი ლლიმპიური გამარჯვება, ოდას უკვეთავს არა პინდაროსს, არამედ ბაკეილიდებს (ეს ოდა ჩვენამდეც შემორჩა). ამ ფაქტით აღმოცავის შემდეგ პინდაროსი გადაიცავა მითი ნეოპროლემოსის შესახებ.

სიმღერას (პით. II), სადაც იქსიონის მითით პიერონის უმაღურობაზე მიანიშნებს, ხოლო თავის მეტოქე ბაკეილიდესს უწოდებს მაიმუნს. და მაინც, მიუხედავად ამგვარი მარცხისა, სიცილიიდან დაბრუნების შემდეგ პინდაროსისათვის დგება წარმატებების ხანა (ძვ.წ. 475-460 წ.წ.). მის შემოქმედებას მთელ საბერძნეთში აღიარებენ, იგი ითვლება პირველ პოეტად: მისი უფროსი თანამოღვაწე სიმონიდეს კეოსელი 468 წელს გარდაიცავალა, ხოლო უმცროსი – ბაკეილიდესი ერთობ თვალნათლივ ჩამორჩებოდა მას თავისი ხელოვანებით. პინდაროსის ჩვენამდე მოღწეული შემოქმედების თითქმის ნახევარი ამ პერიოდით თარიღდება. მას უკვეთენ ოდებს კორინთოს, როდოსის, არგოსის, კირენესა თუ გვინას მკვიდრნი. მიუხედავად ამ აღიარებისა, პინდაროსისა და მის თავისის მცემელთა შორის მაინც იჩენდა ხოლმე თავს გარკვეული გაუგებრობა. საგულისხმოა ერთი ფაქტი: 474 წელს ათენმა პინდაროსს შეუკვეთა დიოთირამბი, რომელიც ისე ბრწყინვალე შეთხა პოეტმა, რომ თანამემაუყელე თებელებმა მას ცილად დასწამეს სამშობლოს დალატი და დააჯარიმეს დიდალი თანხით. ეს თანხა გადაიხადეს დიოთირამბით მოხიბლულმა ათენელებმა. ჩეხეთის ცნობილია სხვა შემთხვევაც: დელფოს შეკვეთით პინდაროსმა შეთხა პერი VI, სადაც განადიდებდა რა აპოლონს, აუგად მოიხსენიებდა მის მითოლოგიურ მტერს – ეგინელ გმირს ეაკიდ ნეოპროლემოს. ამის გამო თავი შეურაცხელფილად იგრძნეს ეგინელებმა. პინდაროსი იძულებული გახდა შეეთხა ახალი ოდა სპეციალურად ეგინელებისათვის (ნემ. VII), სადაც ახლებურად გადაამუშავა მითი ნეოპროლემოსის შესახებ.

დრო გადიოდა. პინდაროსის ბობოქარი სული თანდათან ცხრებოდა. ბოლო პერიოდის ოდებში შეიგრძნობა ერთგვარი მოწოდება თანხმობისა და სიმშვიდისაკენ. ათენსა და ეგინას შორის წარმოშობილ დიდ განხეთქილებებს (ძვ.წ. 458-457 წ.წ.) მოჰყვა ეგინას, ხოლო შემდეგ თებეს დალაუფლების დაქვეთება. ყოველივე ეს პოეტს მძიმედ უნდა განეცადა. ამ პერიოდის ოდებში პინდაროსთან სულ უფრო ხშირად იჩენს თავს აესიმისტური განწყობილება. ასე მაგალითად, ცნობილ VIII პითიურ ოდას პოეტი ასე ასრულებს:

“ეამიერები: არსებობს ვინმე? თუ არ არსებობს? აჩრდილო ზმანება – ადამიანი.

ოდეს დმერთისგან ნათლიერი სხივი გადმოვა, მხოლოდ მაშინ ეძლევა მოკვდავს

დღე ნათელი და უძმი ტბილი...

პინდაროსი გარდაიცავალა ძვ.წ. 438 წელს. ერთერთი ბიოგრაფია (“სვიდას ლექსიკონი”) ასე აღწერს მისი გარდაცვალების სურათს: “გამოიყოთხა რა ღმერთებისაგან, თუ რა უნდა ყოფილიყო მისთვის საკეთესო, გარდაიცავალა თებატრში... თავისი საყვარელი თეოქსენოსის მუხლებზე დამხობილი”.

პინდაროსის სახელი გარდაცვალების შემდეგ ლეგენდებით შეიმორსა. რა თქმა უნდა, მას პყავდა დიოსეული დამფასებლები. მათ შორის დიდი ალექსანდრე. პოეტის ცხოვრების აღწერილობიდან ცნობილია ასეთი ფაქტი: როდესაც ალექსანდრე

მაკედონელმა ძვ.წ. 335 წელს დაარბია თებე, ბრძანება გასცა, ხელი არ ეხლოთ პინდაროსის სახლისათვის. პავსინიასთან (IX, 23) ვხვდებით გადმოცემას იმის შესახებ, თუ როგორ უხილავთ ბერძნებს ტყეში პანი, რომელიც პინდაროსის სიმღერებს მდევრდა. იქვე მოგვითხრობს პავსანიასი იმის შესახებაც, თუ როგორ შეუკვეთა პინდაროსს შესანდობარი სიმღერა თავად პერსეფონემ. ამ ლეგენდების გვერდით მოგვეპოვება ათენეოსის გადმოცემაც (13 ა და XIV, 638 ა) იმის თაობაზე, თუ როგორ თვლიდა ათენის საზოგადოება პინდაროსის სიმღერებს უკვე უამგარდასულად. და ეს სავსებით ბუნებრივია: რამდენადაც დიდი იყო პინდაროსის სახელი პოეტის თანამედროვე სამყაროში, მით უფრო როულდებოდა მისი პოეზიის დიდებულების შეგრძება შემდგომი დროის მკითხველებისათვის. იმ მიზეზთაგან, რომელნიც ამ მოვლენას ნათელს მოჰყენენ, გამოვყოფით სამ უმთავრესს, რომელთა ცოდნაც გზას გაგზისნიდა ამ ჰემმარიტად ამაღლებული პოეზიის გასაგებად:

1. პინდაროსის ცხოვრების აღწერილობიდან ცნობილია, რომ მისი პოეტური შემოქმედება მეტად მრავალფეროვანი ყოფილა. პინდაროსის ქმნილებათა რიცხვი ოთხი ათასს აღწევდა. ეს იყო პიმჩები, პეანები, დითირამბები, პროსოდიები, ეპინიკები და სხვა, რომლებიც 17 წიგნად გამოუციათ ალექსანდრიულ სწავლულებს.<sup>6</sup> ჩვენამდე შედარებით სრულყოფილად ეპინიკიათა ოთხმა წიგნმა მოადწია. ეპინიკიები ანუ “გამარჯვებულთა სადიდებლები” – უძღვნებოდა ოლიმპიურ, პითიურ, ნემეურ და ისთმოსურ სპორტულ სარბიელებზე გამარჯვებულებს. და აი, თანამედროვე მკითხველის ბუნებრივ გაოცებას იწვევს პირველივე შეხვედრა ძველი ბერძენი პოეზიის უანრთან: გულწრფელია კი შემოქმედი, რომლისთვისაც ვიღაც მეტლის ან მოკრივის შემთხვევითი გამარჯვება სპორტულ სარბიელზე იქცევა დიდებული პოეზიის შთაგონებად?

ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ძველ ბერძნულ სპორტულ ასპარეზობათა არსი: ასპარეზობას უნდა გამოევლინა გამარჯვებული, ის, ვისზეც გადმოდიოდა დვთაებრივი მადლი, ის, ვინც დმერთების რჩეული იყო. სპორტული ოსტატობა გამარჯვებულის პირად დირსებად მიიჩნეოდა, ხოლო დვთაებრივი მადლი მთელ მის გვარსა და თანამოქალაქეთ ეფინებოდა. ფანტასტიკური თაყვანისცემა, რომლითაც განმსჭვალული იყვნენ ძველ საბერძნეთში სპორტულ სარბიელებზე გამარჯვებულთა მიმართ, აისენება სწორედ იმით, რომ გამარჯვებულში სცნობდნენ არა მხოლოდ დიდიებულ ოსტატს, არმედ დმერთების რჩეულს. ასპარეზობას უნდა გამოევლინა ის, თუ რომელი გვარისა თუ ქალაქის მიმართ გამოიჩინდნენ მოწყალებას დმერთები, რომელთა კეთილმოდრეკილებაც იქნებოდა სამარადისო. სწორედ ამიტომ პინდაროსის დროს ბერძნები ასპარეზობებზე ეშურებოდნენ იმავე გრძნობით, რა გრძნობითაც მიემართებოდნენ ისინი აპოლონის წმინდა ქურუმთან. გამარჯვებული

აღიქმებოდა მთელი გვარისა და ქალაქის დიდებად. იგი საზეიმო სვლით ბრუნდებოდა სამშობლოში თხამოქალაქეთა თავისისცემითა და სადიდებელი სიმღერებით ნათელმოსილი.

2. გამარჯვებულის სადიდებელი ეს იყო მისი გვარისა და სამშობლოს ხოტბა. განადიდებდა რა გმირს, პინდაროსი თავის თდებში უხვად სარგებლობდა მის მოდგმასა თუ ქალაქთან დაკავშირებული ისტორიული თუ ლეგენდარული თქმატიკოთ, მითოსით, რაც კარგად იყო ცნობილი პოეტის თანამედროვეთავის და რისი ცოდნაც დღეს სპეციალური განათლების გარეშე შეუძლებელია. სწორედ ეს არის მეორე მიზეზი იმისა, რომ თანამედროვე მკითხველი ვერ აღიქვამს სრულყოფილად პინდაროსის პოეზიას.

მითის გადმოცემა პინდაროსისთან, ეპოსისაგან განსხვავებით, განპირობებულია მითის ახალი ფუნქციით: თუ ეპოსისათვის მითის თხრობა იყო მთავარი და მითი მასში გადმოიცემოდა თანამიმდევრულად, ისე, რომ მსმენელს სრულყოფილი შთაბეჭდილება შექმნოდა ამბავთა მთელ ჯაჭვზე, ლირიკისათვის მითი მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებით. ლირიკის პოეტს აინტერესებდა მითის არა ყველა დეტალი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ამა თუ იმ მოვლენის ასოციაციას იწვევდა. ამიტომ არის პინდაროსის პოეზია დატვირთული მრავალრიცხოვანი მითოლოგიური პასაჟებით, რომლებიც ერთმანეთს გარევალი ასოციაციური თანამიმდევრობით ენაცვლება. ლირიკული სტრუქტურა მსმენელის თანამონაწილებას გულისხმობდა. თუ ეპიკოსი პოეტი ვარაუდობდა, რომ მსმენელისათვის უცნობი იყო ესა თუ ის მითოლოგიური ამბავი და ამის გამო საჭიროდ ცნობდა ამბავთა მთელი თანამიმდევრობით გადმოცემას, ლირიკოსი პოეტი ითვალისწინებდა, რომ მისი მსმენელისათვის ეს განვლილი ეტაპი იყო, რომ საქმარისი იყო მხოლოდ მინიჭება და მსმენელის ცნობიერებაში აღსდგებოდა მითოლოგიური ასოციაციების მთელი წევება. ასე რომ, პინდაროსის პოეზია ნათელია მხოლოდ იმ მკითხველისათვის, რომელიც ნაზიარებია ძველ ბერძნულ სამყაროს. თვით პროფესიონალი ფილოლოგისთვისაც კი ძნელია პინდაროსის პოეზიის სრულყოფილი აღქმა, რამეთუ იცდასუთი საუკუნით სცილდება იმ სამყაროს, როდესაც მოღვაწეობდა თავისი დროის ეს უდიდესი შემოქმედი.

3. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ პინდაროსი იყო არა მარტო პოეტი, არამედ კომპოზიტორიცა და შემსრულებელიც. მისი რდები, დაწერილი როტელი მეტრული კომპოზიციით, ესადაგებოდა გარკვეულ მუსიკალურ სმოვანებას, რომელიც თავისთვავად ღრმა შემცირებულ დატვირთვის ატარებდა. ერთურთს შერწყმული პოეზია, მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება, ძველი სამყაროს მსმენელთა ამაღლებასა და განწმენდას იწვევდა. ჩვენამდე შემორჩენილი მხოლოდ პოეზია და ისიც როტელად გასაგები, თანამედროვე მკითხველში, ბენებრივია, ამ გრძნობებს ვერ აღძრავს, თუმცა

მის მხატვრულ აზროვნებაში დრმა კვალს ტოვებს.

\*

პინდაროსი უკვე დაკანონებულ ქორიკულ სამყაროში გამოჩნდა მოგვიანებით, როგორც უცხო, როგორც არატრადიციული. იგი მოვიდა ბევტიდან. ეს იყო მდიდარი მხარე, მაგრამ ძვწ. VII-VI საუკუნეების კულტურულ ცხოვრებას განრიდებული. აქ იყო ლირიკული სკოლა, მაგრამ ძალიან ჩაკეტილი და არქაული. მისი პოეტები სარგებლობდნენ ადგილობრივი დიალექტით და მიმართავდნენ ადგილობრივ მთებს. საინტერესოა, რომ მათ შორის იყვნენ ქალებიც – ცნობილია ტანაგრელი კორინა, რომელიც კინადამ დიდი პოეტების ალექსანდრიულ კანონში მოხვდა. მაგრამ პინდაროსი არ ყოფილა მშობლიური პოეტური სკოლის ტრადიციების გამგრძელებელი. გადმოცემის თანახმად, ერთ-ერთ პოეტურ შეჯიბრზე ბეობიერებს კორინასათვის მიუნიჭებიათ უპირატესობა და არა პინდაროსისათვის. მას ტრადიციული კანონების უგულვებელყოფას საყვედურობდნენ.

მუსიკალური განათლება პინდაროსმა მიიღო ათენში, ყველაზე მოწინავე მხატვრულ ტენდენციათა ახალ ცენტრში, სადაც ჯერ კიდევ ახსოვდათ ლასოსისა და სიმონიდესის სახელები. მაგრამ პინდაროსი მათ კვალსაც არ გაჰყოლია. ლეგენდა მას სიმონიდესისა და ბაკელიდესის მეტოქედაც წარმოადგენს. საგუნდო ლირიკის არსენალში იგი მოვიდა მზა ნიადაგზე და თავს გრძნობდა მის არა კანონიერ მემკვიდრეობა, არამედ მიმღებად, რომელსაც ყველაფერი უნდა გარდაეჭმნა და გარდაესახა. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის მუდმივი დაბატულობა, ის მუდმივი მღელვარება და რისკი, რაც შეიგრძნობა მის სიმღერებში.

პინდაროსი მოღვაწეობდა მაშინ, როდესაც არისტოკრატულ წეობას, რომლის იდეებსაც ქადაგებდა პოეტი, საფუძველი ეცლებოდა. ასპარეზი ეთმობოდა ახალ, დემოკრატიულ იდეოლოგიას, რომელსაც უკვე დაექცენებოდა საჯუთარი პოეტები. პინდაროსი ს სჯეროდა, რომ სამყარო იყო პარმონიული და უცვლელი, რომ მასში ყველაფერი ღმერთების ნებას ემორჩილებოდა, რომ მხოლოდ ღმერთები განსახლვარებენ ადამიანთა ბედს:

“არ დაიგიწყო,

რომ ღმერთი არის შემოქმედი ყოველიერთა.“  
(პი. V. 12-13)

“ღმერთებმა შექმნეს მიწიერი ყველა სიქველა, ბრძენიც, ძლიერიც, ენამჭევრიც მათგანვე იშვა.“  
(პი. I, 41-42)

დრმა ფილოსოფიურობითა და არაჩვეულებრივი უბრალოებით გამოხატა პინდაროსმა თავისი აზრი ადამიანის ბედთან დაკავშირებით:

“არსებობს მოდგმა ადამიანთა,  
არსებობს მოდგმა ლვთაებათა,  
თუმცა ორთავეს ერთმა დედამ შთაბერა სუნთქვა,  
ერთმანეთისგან განასხვავა სხვადასხვა ძალით.  
უბადრუებია ადამიანი,

რვალის ზეცა კი

უხრწელ სავანედ გვევლინება უკუნისადმი. უკვდავთა მოღმას ვემსგავსებით მაინც

რაღაცით: –

ამაღლებული აზრითა თუ ჩვენი ბუნებით. მაგრამ წყვდიადში ჩაიძულა ბედით ხვდომილი დღისით თუ დამით გასავლელი გზა, რაც დაგვრჩენია სამანებადმე.“

(ნემ. VI, 1-8)

ახალი დროების შემოქმედნი კი (პერაკლიტესი, ესტილე) უკვე ხედავდნენ სამყაროში გამეფებულ წინააღმდეგობებს, რომლის შედეგიც იყო ამ სამყაროს უწყვეტი განვითარება. მათთვის მოვლენათა ცვლა განისაზღვრებოდა არა დვორებრივი ნებით, არამედ სამყაროს მარადიული განოხით.

ახალი დროის ადამიანებისათვის ჰქონდა განსახილების განსახიერებად წარმოდგებოდა ფილოსოფიული, რომელიც თავისი გონიერობით სწორებოდა მოვლენათა მიღმა არსებულ კანონებს და განაცხადებდა მათ ადამიანთათვის. ასეთ პირობებში პოეტი-ძრძენი თანდათანობით კარგავდა თავის ფუნქციებს; მას აღარ შესწევდა უნარი ახალი იდეების ქადაგებისა, იგი მხოლოდ ამ იდეების მხატვრულ ფორმაში განმასახიერებდა უნდა კოფილი იყო. პინდაროსისათვის ეს მიუღებელი იყო. იგი იბრძოდა ტრადიციული, არისტოკრატული იდეების განმტკიცებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა ამაო იყო. პინდაროსის მსოფლადების ცენტრალური ფენომენიც კი არეტე (სიკველე) – რომელიც საუკუნეების განმავლობაში მთელი ბერძნული ფილოსოფიის ერთ-ერთ ძირითად ცნებას წარმოადგენდა, ახალი იდეოლოგიისათვის უკვე მიუღებელი იყო.

რა იყო ამ ფენომენის არსი პინდაროსისეული ინტერპრეტაციით? არეტე – ამ ტერმინის ზუსტი ქართული შესატყვისის მონახვა ერთობ გართულდა. ტრადიციულად ჩვენ მას ვთარგმნით ტერმინით “სიქველე“ და უნდა გავიგოთ იგი, როგორც სხვადასხვა ზეობრივ თვისებათა (“შემართება“, “ძალმოსილება“, “დიდებულება“, “მაღალ საქმეთა აღმსრულებლობა“, “მაღალი სელოვნება“, “ზეობრივი სრულყოფილება“) ერთიანობა. პინდაროსისათვის ადამიანი ვერ იქნება “ქელი“, თუ მას არ აღსარებელი და საქმე საქმე უნდა იყოს “წარმატება“.

მხოლოდ “წარმატება“ არის ღმერთების კეთილმოღრეკილების მაუწყებელი. მაგრამ იმიტომ, რომ წარმატებას მიაღწიო, უნდა იყო სახელოვანი მოღმით (γένος), რამეთუ შენს გვარზე უნდა გადმოღილებს ღმერთების მაღლი, უნდა გაბანდეს სათანადო ხარჯების გადების საშუალება (δάπανა), ანუ სიმდიდრე, რომელიც ასევე ღმერთების წყალობის შედეგია, შეგეძლოს შრომა (πόνος), და, რაც მთავარია, შენსკენ უნდა იყოს მომართული დვორების ნება (δαιμών).

პინდაროსის ყოველი პინიკია ემსახურებოდა ახალი მოვლენის (სპორტულ ასპარეზობაზე

მიღწეული გამარჯვების) ჩართვას უკვე გარდასულ მოვლენათა სისტემაში. გარდასული მოვლენები კი მთოსით იყო შემოსილი. ბუნებრივია, პოეტი ცდილობდა, უხვად ესარგებლა მითოლოგიური პასაჟებით ამა თუ იმ მოვლენის სამყაროს საერთო წესრიგში მოსათავსებლად ისე, რომ არ დარღვეულიყო ამ სამყაროს პარმონიულობა.

დღეს მეცნიერებაში საქმაოდ ბევრი იწერება იმის შესახებ, თუ რა ფუნქციას ასრულებს მითი პინდაროსის შემოქმედებაში.<sup>7</sup> შეიძლება ითქვას, რომ მკვლევართა შორის არ არის თანხმობა ყველაზე უფრო პრინციპულ საკითხებშიც კი.<sup>8</sup> პინდაროსის შემოქმედებაში მითის ფუნქციისა და ინტერპრეტაციის საკითხებზე მსჯელობისას, ჩვენი აზრით, უნდა გავითვალისწინოთ ორი გარემოება:

1. პინდაროსის დროისათვის მითები და თქმულებათა სხვადასხვა ციკლები უკვე სავსებით ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო თავისი სიმბოლიკით თუ სახეებით. შესაბამისად, თუკი პინდაროსის ეპოქაში მწერალი მიმართავდა მითოს არა მხოლოდ ინფორმაციული ინტერესით, იგი იძულებული იქნებოდა მითოთან, მის სიმბოლიკასთან გარკვეული მიმართება და ემყარებინა, მოეხდინა მითის თავისებური ინტერპრეტაცია.

2. პინდაროსი მითოსს მიმართავს, როგორც წესი, გარკვეული ასოციაციით (იქნება ეს მეტაფორული თუ მეტონიმური). იმის მიხედვით, თუ რამდენად ღრმაა ეს ასოციაცია, მითს შეიძლება ქონდეს სრულიად სხვადასხვა დატვირთვა დაწყებული წმინდა ორნამენტალურიდან, დამთავრებული რთული სისტემით, რომელშიც სრულიად სხვადასხვა კომპონენტთა (ფორმალურისა თუ იდეურის) გაერთიანებასთან გვაქვს საქმე.

მითის პინდაროსისებული ინტერპრეტაციის ძირითადი პრინციპები განსაკუთრებით იჩენს თავს იმ შემთხვევაში, როდესაც შედარებით ვრცლად არის გადმოცემული ამა თუ იმ მითის სიუჟეტი. პოეტს შეუძლია შეცვალოს ხოლმე ტრადიციული სქემა სიუჟეტისა, ან დატოვოს იგი უცვლელად. ბუნებრივია, არჩევანს ამ შემთხვევაში არა აქვს ნებისმიერი ხასიათი: а). იქ, სადაც პინდაროსის აზრით ტრადიციული სქემა უპირისიპირდება მის ძირითად კონცეფციას დმერთების უზენაესობისა და უბიწვების თაობაზე, მითოლოგიურმა სიუჟეტმა შეიძლება განიცადოს ცვლილება. ამ შემთხვევაში პოეტი წინასწარ გვაუწევებს, რომ ცვლის მითოლოგიურ სიუჟეტს, ახდენს ამ ცვლილებათა მოტივაციას, სათანადო არგუმენტირებას; ბ). იქ, სადაც ტრადიციული მითოლოგიური სიუჟეტი არ უპირისიპირდება პინდაროსის მსოფლაღქმას და აქერძო გამომდინარე მის წარმოდგენას დმტოებზე, მაგრამ მას გარკვეული თვალსაზრისით ესაჭიროება ტრადიციულ სიუჟეტში ერთგვარი ცვლილებების შეტანა, მისი მოდიფიკაცია, აღარ ხდება წინასწარი განცხადება და, შესაბამისად, ცვლილებათა სათანადო არგუმენტაცია.

ჩვენი აზრით, პირველ შემთხვევაში მითის ცვლილება ეფუძნება სრულიად გარკვეულ სტრუქტურულ და ლოგიკურ კანონზომიერებას,

ხდება ცენტრალური მოტივის, რომელიც, ჩვეულებრივ, რელიგიურ ან მსოფლმხედველობრივ დატვირთვას ატარებს, ტრანსფორმაცია სათანადო არგუმენტაციით. ამის შემდეგ თავს იჩენს ერთგვარი დისკუსია ყველა იმ ელემენტთან, რომელთა ერთობლიობა ტრადიციულ სქმაში განსაზღვრავდა ამ მითის სიუჟეტს და რომელთა შეცვლის გარეშე ცენტრალური მოტივის ცვლილება ალოგიკური აღმოჩნდებოდა. შესაბამისად, ცენტრალური მოტივი სხვა ცვლილებათა მაორგანიზებელი ხდება. მას უკვემდებარება სხვა გარდაქმნა. სწორედ ამიტომ, ცენტრალური მოტივის გათვალისწინების გარეშე გაუგებარი რჩება სხვა ელემენტთა ცვლილება. მივმართოთ ამგვარი გარდაქმნის ერთ-ერთ კლასიკურ ნიმუშს: I ოლიმპიურ ოდაში წარმოდგენილ მითს პელოფსის შესახებ. მითის პინდაროსისებულ კერძიაში იდეური ამოსავალი არის დებულება:

“მე ვერ გავბედავ ღმერთს ვუწოდო  
კაცისმჭამელი,  
აქ შევწევებ თხრობას,  
რადგან მკრეხელი მიწყივ ისჯება“.

(სტრ. 52)

მაგრამ თავად მითოლოგიური პარადიგმის მიზანი არის ტანტალიდების გვარის განწმენდა. ეს ორი მომენტი განსაზღვრავს მითის პინდაროსისებული ვერსიის ყველა სტრუქტურულ თუ შინაარსობრივ ცვლილებას. ძირითადი დებულება “შეუძლებელია, რომ ღმერთს ეჭამა ადამიანის ხორცი“, გულისხმობს უკვე დისკუსიას ტრადიციულ მოტივთან. მაგრამ მარტო ამ დებულების მოხსენა არ იყო საკმარისი, რადგან მასთან ორგანულად იყო დაკავშირებული ტრადიციული მითის სხვა ელემენტები. შესაბამისად, პინდაროსი ტოვებს იმას, რაც არ ეწინააღმდეგება მის კონცეფციას და ცვლის იმას, რაც ეწინააღმდეგება. არცერთი კითხვა, რომელიც შეიძლება დაისვას ამ ძირითადი დებულების მიღების შემთხვევაში, არ არის უპასუხეობრივი. აქედან გამომდინარე, პინდაროსი თავიდანვე, თოოქოს სხვათაშორისი, ვიდრე მითის მისებული ინტერპრეტაციით წარმოდგენას შეუდგებოდეს, გვაძლევს იმის ბუნებრივ განმარტებას, თუ რითი აიხსნებოდა პელოფსისა და მის შთამომავალთა ბრწყინვალება, რითიც ავტომატურად იხსნება დემეტრესა და სპილოს ცვლის ტრადიციული მოტივი. ხოლო იმ განცხადების შემდეგ, რომ ადამიანები ხშირად თხზავენ ცრუ ამბებს, იგი გვთავაზობს პელოპიდების მითის მისებულ ვარიანტს.

პინდაროსი ცვლის პელოფსის გაქრობის ტრადიციულ მოტივს ახლით – პოსეიდონის მიერ მისი მოტაცებით (სტრ. 40-44). თავად ჭორის გავრცელებას პელოფსის მოხარშვის შესახებ მოშურნე მეზობელებით მიაწერს (46-50). პელოფსის გაცოცხლების ტრადიციულ ვარიანტს პოეტი ცვლის დებულების მიერ მისი კვლავ დაბრუნებით მიწაზე, რაც გამოწვეულია ტანტალის შეცვლებით (მან დმტოვთებს ნექტარი და ამბროსია მოპარა (60-61). აქედან გამომდინარე პინდაროსი,

ერთი მხრივ, გთავაზობს ტანტალოსის ცოდვის მოდიფიცირებულ ვარიანტს, ხოლო, მეორე მხრივ, პელოფსის დაბრუნებას მიწაზე სათანადო მოტივაციას უქმნის.

ამდენად, მითის თხრობის პირველ ნაწილში პინდაროსი ახერხებს მიაღწიოს მის მიერ დასახულ თრთავე მიზანს: ერთი მხრივ, ააცილოს დმურობებს ტრადიციულ სიუკეტში მიკუთვნებული ცოდვა, ხოლო, მეორე მხრივ – პელოპიდების გვარი განწმინდოს ტრადიციული, მძიმე ცოდვისაგან.

მითის მეორე ნაწილი, რომელ შიც მოთხრობილია პელოფსის ქორწინების ამბავი, ფაქტობრივად, აღარაფრით უკავშირდება მითის პირველი ნაწილის ცენტრალურ დებულებას. ამდენად, აქ პინდაროსი აღარ მართავს დისკუსიას ტრადიციულ მოტივებთან, მაგრამ, რამდენადაც მისი საბოლოო მიზანი არის პელოპიდების გვარის განდიდება, იგი ყოველგვარი კომენტარის გარეშე ახდენს მითში იმ ელემენტების შემდგომ ცვლილებებს, რომელთაც შეუძლიათ პელოფსის დირსების დაჩრდილვა. კერძოდ, შეჯიბრისას მექტლის მიერ გაწეულ დახმარებას იგი ცვლის პოსეიდონის დახმარებით, რითიც ამყარებს კავშირს მითის პირველი ნაწილის თავისსავე ვერსიასთან (პოსეიდონის მიერ პელოფსის მოტაცება). შესაბამისად, პოეტი მთლიანად უგულვებელყოფს მექტლე მირსილოსთან დაკავშირებულ ეპიზოდს, რითიც საბოლოოდ განწმენდს პელოფსის ტრადიციული ცოდვისაგან.

ამდენად, პინდაროსი ერთი შეხედვით თითქოს ტოვებს მითის ტრადიციულ სიუკეტს, მაგრამ ამავე მითის ელემენტთა არსებითი ცვლილებით იგი ფაქტობრივად ცვლის მითის ძირითად კონცეფციას.

როგორც ადვინიშნეთ, პოეტს მითში ცვლილებათა შეტანა შეუძლია ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და დასაბუთების გარეშეც. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ავტორისათვის ამოსავალი არის ან აზრი დმურთთა ყოვლისშემძლების შესახებ, ან სურვილი ცალკეული გმირის საქმეთა ტრადიციულისაგან განსხვავებული თვალსაზრისით გააზრებისა. პინდაროსი შეუმჩნევლად ცვლის მითის ტრადიციული ვერსიის ელემენტებს. ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლებოდა დაგვეხსახელებინა III პითიური ოდა, სადაც წარმოდგენილია მითის ასკლეპიოსის შესახებ.

მითის შემოტანა პინდაროსის ოდებში ხდება გარკვეული კანონზომიერებით. მითის ცვლილებებს განსაზღვრავს სრულიად გარევეული მექანიზმი, რომელიც დაკავშირებულია როგორც ოდის შექმნის ფაქტიურ მიზეზთან, ისტორიულ რეალობასთან, ისე პინდაროსის ზოგად კონცეფციასთან და მსოფლმხედველობასთან – მოათავსოს არსებული მოვლენა ჰარმონიული სამყაროს სისტემაში. ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, ისმის კოთხვა, რომელიც არაერთგზის წამოჭრილა პინდაროსის კვლევისას – რა არის მაინც ე.წ. „მთავარი ელემენტი“ (*“tragende Element”*<sup>9</sup> „დატვირთვის მქონე ელემენტი“) პინდაროსის ოდებში – მითოსი თუ ხოტბა. ჩვენი აზრით, თუკი საკითხს შევხედავთ

ცალკეული ოდის თვალსაზრისით, „მთავარი ელემენტი“ უნდა იყოს „ხოტბა“, რადგანაც ყოველი ოდა დაწერილია გამარჯვებულის განსაღიძებლები. ამდენად, პინდაროსის არ შეიძლება ჰქონდეს ოდა, სადაც არ იქნება ხოტბა, მაგრამ აქვს ოდები, სადაც არ არის წარმოდგენილი მითი. მაგრამ საკმარისია, გავიაზროთ პინდაროსის ოდები ზოგადად მისი შემოქმედების პოზიციიდან, რომ „მთავარი ელემენტი“ აქ აღმოჩნდება მითოსი, რომელშიც ყველაზე მეტად ვლინდება პოეტის მხატვრული ფანგაზია, მისი უნარი ტრადიციული მოტივების შემოქმედებითად ათვისებისა და რაც მთავარია, მსოფლმხედველობა.<sup>10</sup> რამდენადაც მითი პინდაროსის ოდების უმოავრესი შემადგენელი ელემენტია, ამიტომ მას უკავია ოდის მთავარი, შეუ ნაწილი. ასეთ შემთხვევებში ოდა აგებულია სამნაწილიანი, სიმეტრიული კომპოზიციით: I. ექსპოზიცია, II. მითიური ნაწილი, III. დვოაგბისადმი მიმართვა. ექსპოზიცია მოიცავდა თამაშების, გამარჯვებულის, მისი მოდგმისა თუ ქალაქის ხოტბას; თუ გამარჯვებული იყო ჭაბუკი, პოეტი ხოტბას ასხამდა მის მწვრთხელებსაც. ოდის მითიურ ნაწილში წარმოდგენილი იყო გამარჯვებულის მოდგმასა თუ ქალაქთან დაკავშირებული რომელიმე მითი (ან მითის ის ნაწილი, რომელიც პოეტს განსაკუთრებულად ესაჭიროებოდა ადრესატის განსაღიძებლად). ეს მითოლოგიური ნაწილი პოეტური ხატებით განაცხადებდა მსმენელთავის, რომ ამა თუ იმ გმირის გამარჯვება არ არის შემთხვევითი მონაპოვარი, რომ ეს არის გამარჯვებულის მოდგმისა თუ ქალაქის მიმართ დვოაგბისათვის მითინდებლი კეთილგანწყობის კიდევ ერთი გამოვლინება. ოდის ბოლო ნაწილში პოეტი მოუწოდებდა დმურთებს, რომ მათი მადლი არ მოკლებოდა გამარჯვებულის გვარსა თუ ქალაქს. ოდის დასაწყისსა და ბოლო ნაწილებში პოეტს ხშირად შეპქრნდა სხვადასხვა, მისი ასოციაციების შესაბამისი მოტივები. ასევე, ოდის მითოლოგიური ნაწილიც ხშირად იქსებოდა მაღალპოეტური სენტენციებით, რაც ესოდენ უბადლოდ ხელეწილებოდა პინდაროსს. იმის შესაბამისად, თუ როგორი იყო შემკვეთის სურვილი, ან პოეტის განწყობილება, ოდის ცალკეული ნაწილები ფართოვდებოდა ან მცირდებოდა, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მისი სამნაწილიანი კომპოზიცია (უნდა აღინიშნოს, რომ გამოხატვისები აქაც გვხვდება, მაგრამ მათ არა აქვთ სისტემური ხასიათი. შედრ. ოლ. XIV).

პოეტური სენტენციები, რომლითაც დახუნდებულია პინდაროსის თითოეული ოდა, არ იყო უცხო იმ ეპოქის ლირიკისათვის. მაგრამ პინდაროსთან მათ განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნიათ. უფრო მეტიც, პინდაროსის შემდლო ტრადიციული სენტენციის შეცვლა და მისი თავისებული ინტერპრეტაციით წარმოდგენა. ამის კლასიკური ნიმუშია პეტერ კესიოდესთან დადასტურებული ცნობილი გამოთქმის: „მეტრა ფულასრეზა კაირის ძეპი პასივ პრისტის“ (საბ. 694: „ზომიერება დაიცავი, სათანადო დრო საუკეთესოა“)

პინდაროსისეული გააზრება: როგორც ცნობილია, ძველი საბერძნეთის ეთიკური ნორმების საფუძველთა შორის იყო ერთი უმნიშვნელოვანესი კანონი „**μηδὲν ἀγαν**“ („არაფერი უზომოდ“), რომელსაც ძვ. VI საუკუნის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, პოეტ-ანალიტიკოსს, ერთ-ერთს „**შვიდ ბრძენთაგან**“ – სოლონს მიაკუთვნებენ. იგივე აზრს სხვადასხვა სენტენციური ფორმით არქაული ხანის, და არა მარტო არქაიკის, სხვა პოეტებთანაც შევხვდებით.<sup>11</sup> პინდაროსისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ არსებობდნენ „**ბრძენებად**“ შერაცხული პიროვნებები, რომელთაც „**უაღრესად მოსწონდათ გამოთქმა**“ „**არაფერი უზომოდ**“ (ფრ. 35 b). იგი უცვლელად ღებულობს ამ ეთიკურ ნორმას და საკუთარ გნომებაც გვთავაზობს: „**ზომიერების მაძიებელი, ზომიერების მპოვნებელი**“ (ისომ. VI, 71). პინდაროსისათვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო პესიონერის ზემოთ წარმოდგენილი შეგორებაც, რომლის თავისებურად შეცვლის შესაძლებლობა მან სათანადოდ გამოიყენა. კერძოდ, ადრეულ ლირიკაში „**გნომედ**“ ქცეულ მა პესიონერეულმა გამოთქმა – „**καιρός δ' ἐπὶ πάσιν ἄριστος**“, რომელიც უშეადოდ უკავშირდებოდა ფრაზას „**μέτρα φυλάσσεσθαι**“, პინდაროსსთან ახალი დატვირთვა მიიღო. წინამორბედთაგან განსხვავებით მისთვის „**καιρός**“ არის არა სათანადო დრო ზოგადად, არამედ ის დრო, რომელიც ადამიანს ეძღვვა წამიერად. მან უნდა იგრძნოს ეს წამი. ეს მისი დროა, ის მოქმედია, როდესაც ძალისხმევის მიზანმიმართულება ბედნიერად თანხვდება ბედისწერის შეუცნობელ ნებას. მხოლოდ ასეთ თანხვდებას მოაქვს წარმატება. იგი განუმეორებელია და საბედისწერო. ამიტომ „**ზომიერების დაცვასთან ერთად უმთავრესია სათანადო დროის შეცნობა**“ (ოლ. XIII, 47-48), რადგანაც იგი „**ყველაფრის მწვერვალი**“ (პიო. IX, 79). და აი, პინდაროსი მიდის იმ აზრამდე, რომ ეს „**καιρός**“ არის ხანმოკლე, წამიერი. ამიტომ „**ადამიანი მიუწვდომლისაკენ კი არ უნდა ისწრაფვოდეს, არამედ თავის შესაძლებლობათა მწვერვალისაკენ, არა მოზურად, არამედ მთელი ძალისხმევით**“ (პიო. IV, 285-287).

სწორედ ეს ძალისხმევა შეიგრძნობა პინდაროსის ყოველ სიმღერაში. თუ სხვა პოეტები თავიანთ ქმნილებებს იწყებდნენ მშვიდად და მსუბუქად, ისე, თოთქოსდა აგრძელებდნენ უკვე დაწყებულს, პინდაროსისათვის ყოველი ახალი სიმღერა ახალი დილექტი იყო, რომელიც განსაკუთრებულ ახსნას მოითხოვდა. მისი ყოველი ოდა უჩვეულო დაძაბულობით იწყება. ეს დაძაბულობა გადაის მკითხველზეც, რომელიც თავიდანვე ექცევა პოეტის მხატვრულ წარმისახვათა გავლენის ქვეშ. ეს განცდა მას ოდის ბოლო სტრიქონებამდე თან სდევს. ამიტომაც ვერ რჩება გულგრილი იმ ქმნილებებისადმი, სადაც პოეტი თავისი „**καιρός**“-ის ძიებაშია. მისთვის ხომ ხოტბათა თხზვა შემოქმედებითი პროცესია. შემოქმედება კი დკონიგრივი ნიჭია, დმერთისაგან ნაბოძები. შესაბამისად, პინდაროსის ქმნილებებში ნაკადივით მიედინება მისივე ცნობიერებაში აღბეჭდილი

ასოციაციები, სახები, რომლებიც განუმეორებელი მეტაფორების სახეს იდებენ. პოეტი გვთავაზობს თავის პოეტურ ხილვებს, ხოლო ეს ხილვები მძაფრია და შთამბეჭდავი, ხან ბუნდოვანი. მაგრამ თუ თავს ძალას დავატანთ და გავიაზრებთ, გაგვაოცებს მათი სიღრმე და მნიშვნელობა.

როდესაც პინდაროსი საკუთარ პოეტურ შესაძლებლობებზე საუბრობს, ცდილობს მეტაფორულად გაგვაგებინოს თავისი სათქმელი:

“**Ἄτροι, γιο ხმიერ საჭრετელზε**  
მადგას ენაზე,  
აზრი, რომელიც ჩემის ნებით  
მოიპარება დიდებულად დიდინარი სუნთქვით”

(ოლ. VI, 82-83)

პინდაროსის აზრით, „**αριστερόβα**“ ეს არის „**უაღრესობა**“, „**გამორჩეულობა**“. რაც უფრო სარისკოა, დიდია, მნიშვნელოვანია საქმე, მთ უფრო აღმატებულია გამარჯვებული, რომელიც აუცილებლად უნდა განადიდოს პოეტმა. თუ ამა თუ იმ მოვლენამ, ამა თუ იმ გმირმა ვერ ნახა თავისი პოეტი, იგი დაკარგულია, ანუ წყვეტს არსებობას:

“**τωρεμένος οὐρεύλοις διοდεῖς**,  
განριდებია მოკვდავთა სხოვნას ყოველიერი,  
რასაც ოდიოგან არ ჟეხებია  
გონიერების უმაღლესი სრულყოფილება  
სიტყვის დიადი მდინარებით მადლმოფენილი”.

(ისომ. VII, 16-19)

თუკი მოვლენამ ან გმირმა იპოვა პოეტი, მცდარად შემფასებელი ან განმაღიდებელი, მაშინ ირღვევა სამყაროს ფასეულობათა მთელი სისტემა. პინდაროსის აზრით, ჰომეროსი, გადააჭარბა რა თდისევესის შეფასებისას, იქცა „**ამაღლებული სელოვნებით ნათქამი სიცრუის**“ განმაღიდებლად (ნემ. VII, 20; VIII, 25-35; შდრ. IV, 35-52). ამიტომ პოეტის მისია ფრიად მნიშვნელოვანია: იგია მსოფლიო წესრიგის გამააზრებელი და დამამკვიდრებელი, შესაბამისად ბრძენი – „**σιφός**“. წევეულებრივ, ჭეშმარიტება ვლინდება დროში, ამიტომ პინდაროსი ამბობს: „... წარმავალი დღეები არიან ყოვლად ბრძენი მოწმენი“ (ოლ. I, 32-34); ან „**დრო – ქრონოსი ერთად-ერთი განაცხადებს ჭეშმარიტებას**“ (ოლ. X, 54). მაგრამ პოეტი ხელს უწეობს ამ განცხადებას. იგი წინასწარმეტყველს გავს, ოდონდ წარსულის. როგორც წინასწარმეტყველი განაცხადებს მომავლის პერსპექტივას, ასევე პოეტიც ხსნის წარსულის პერსპექტივას. როგორც მისანს შთააგონებენ დმერთები, ასევე პოეტსაც შთააგონებენ მუზები და ქარიტები. ასე რომ, პოეტი ღმერთთა რჩეულია და არა ნაკლებ, ვიდრე თავად მოასარებე. იგიც ისევე გმიზადება გამარჯვებისათვის, როგორც ათლეტი, ან მეტბლე, ან მოისარი... (შდრ. ნემ. V, ოლ. I, 9, 13 და სხვა). ამიტომ პინდაროსი ასე სშირად საუბრობს ოდებში საკუთარ თავზე, რომელუ აცნობიერებს, რომ ამის უფლება მოპოვებული აქვს. პოეზიის აპოთეოზია პინდაროსის I პითიური ოდა, სადაც პოეტი სადიდებელს უძღვის ლირას, როგორც სამყაროს წესრიგის სიმბოლოს, რომლის სმიერებასაც მოაქვს სიმშვიდე და ნეტარება

მისთვის, ვინც ეზიარა სამყაროსეულ პარმონიას. ეს ხმიერება გონიერი ურევს მას, ვინც ვერ შეეთვისა ამ პარმონიას.

პინდაროსისათვის ყოველი მოვლენა, ყოველი გამარჯვების წამი დაკაგშირებული იყო წარსულთანაც და მომავალთანაც. მხოლოდ პოეზიას შეეძლო იმსანად მისი დაფიქსირება. შემოქმედი ანიჭებდა მას განსააუთრებულ მნიშვნელობასა და სრულყოფილებას:

“შემოქმედი ქმნის ყოველ ქმნილებას;  
ვით განხდა ხიბლი დიონისური  
სართამდევარი დიოთირამბებით?  
ან ვინ მოზომა რაშის ლაგამი?  
ვინ აღამაღლა ღმერთის ტაძარზე  
ფრთოსანთა მეფე, ორთავიანი?  
აქ ისხამს ყვავილს  
მჟავა, რომელიც ამოსუნთქვით სიამეს

აფრქვევს...“

(ოლ. XIII, 16-22)

განსადიდებელი მოვლენა რომ დამკიდრდეს, საჭიროა იგი გახდეს შესაგრძნობი, სახილველი, აღსაქმედი. ამის შესაძლებლობას იძლევა ჭეშმარიტი პოეზია. პინდაროსიც ცდილობს ესა თუ ის მოვლენა ისე წარმოაჩინოს, რომ დრმად აღმარტინოს მეტერებაში. ეს კი შესაძლებელი ხდება მეტაფორებით, ეპითეტებით, პოეტური ხატებით. და ამ შემთხვევაში მკითხველი მისდევს პოეტის ცნობიერების ნაკადს, რომელიც, პორაციუსის სიტყვებით რომ ვთქვათ, “აბობოქრებული მოყდინება” და აზროვნების სამანთა გადალახვას ლამობს:

“ახალგაზრდობის ყვავილებით მოსილი ხანა  
მძლავრად მოსაგრე ლაშქარში ამოისუნთქვა,  
სადაც რჩეულნი ემედგრებოდნენ  
შებმათა ძალებს იმედების სამანებამდე.“

(ისთმ. VII, 34-36)

“შაშ, ჩამოასხი ლხინის ტქბილი მაუწყებელი,  
ვაზის შმაგი ძე დანაწილდეს ოქროს თასებში!“

(ნემ. IX, 50-51)

“რათა ვადიდო  
ეკიდების ბედნიერება,  
მათი მკლავების ძალმოსილება,  
ან რკინისებრი შერკინებანი, –  
გადაიფინოს ჩემს წინ ვალი  
უძლიერესი ნახტომისათვის,  
ჩემს მუხლებშია მსუბუქი ქროლა,  
არწივი ზღვათა მიღმა ნავარდობს!“

(ნემ. V, 17-20)

ამგვარი სტრიქონები უხვად დაიძებნება პინდაროსის ქმნილებებში. ისინი ხიბლავენ მკითხველს პოეტურ წარმოსახვათა სიძლიერით, აზროვნების სიღრმით, მეტაფორულობით. მათი კითხვისას ჩვენს წინაშე იშლება ასოციაციურად

მოაზროვნე პოეტის საოცარი და უაღრესად საინტერესო სამყარო.

რო თქმა უნდა, პინდაროსი ფლობდა პოეტურ ზმანებათა წარმოხენის საკუთარ ხერხებს, მაგრამ მის აზრთა და მეტაფორულ ასოციაციათა წიაღსვლები მოყლოლენელი და შეუცნობელი იყო მისივე თავებანისმცემელ მსმენელთა თუ მკითხველთათვის. ეს შეუცნობლობა აბნევდა თვით ანტიპური ხანის კითხველსაც, რომელიც მიჩვეული იყო მოწესრიგებულ პოეტურ ხორმებს. ამიტომაც ცდილობდა იგი გაემართლებინა პინდაროსი, დაენახა მასში “ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული პოეტი“ და არა “შეცნიერი პოეტი“. ასეთ შემოქმედთათვის ხომ კანონები არ არსებობს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ძვ.წ. I საუკუნის ავტორის ე.წ. ფსევდო-ლონგინოსის ტრაქტატის “ამაღლებულისათვის“ ერთი ადგილი: “... ნეოთულირიკულ პოეზიაში შენ არჩევ იყო ბაკილიდე და არა პინდარე, ხოლო ტრაგედიაში ამჯობინები იონ ქიოსელი გერქვას და არა სოფოკლე? რასაკირველია, ბაკილიდე და იონი არსოდეს არღვევენ პოეტური ხელოვნების დადგენილ წესებს, ყოველთვის დიდი სიცრთხილით და პედანტური სიზუსტით წერენ, მაშინ როდესაც პინდარებ და სოფოკლემ, თავიანთი ბობოქარი ვნებითა და შლევეური გზნებით, შეიძლება ერთბაშად გადასწვან, ერთბაშად გადაბუგონ კველაფერი, თუმცა ასევე შეიძლება მოულოდნელად ჩაქრნენ და ჩაიფერვლონ“ (XXXIII. თარგმანი ბ. ბრეგვაძისა). ანტიკურ ხანაშივე დაიმკვიდრა პინდაროსმა “მაღალი სტილის“ პოეტის სახელი, რომლისთვისაც მოვარი იყო დირსება, უაღრესობა, ძალმოსილება. აი, როგორ აფასებდა ანტიკურობის ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედი პორაციუსი პინდაროსის პოეტის სიტყვის ძალია:

“ვით ბობოქარი ნაკადული, მოიდან დაძრული,  
აზგირთებული მოიღვრება ნაპირთა ნგრევით,  
ისე მოღლევს პინდაროსის ძლიერი სიტყვა  
ლრმა სათავიდან.“

(IV, 2)

თუ რომაელი პორაციუსისათვის პინდაროსი ახლობელი და გასაგები იყო, თანამედროვე მკითხველისათვის არასოდეს ქცეულა იგი ისეთ ცოცხალ თანამოსაუბრედ, როგორც პომეროსი ან ევრიპიდე. მას ბაძავდნენ ბაროკოს პათეტიკური ლირიკის შემოქმედნიც, რომანტიზმის წინა პერიოდის პოეტებიც, მაგრამ ეს მიბაძვა მხოლოდ გარეგნული ფორმებით გამოიხატებოდა. პინდაროსის პოეზის შინაგანი ძალის პათოსი კვლავ გამოცანად რჩებოდა. XIX საუკუნეში ანტიკურობის ამ უდიდესმა შემოქმედმა კლასიკური ფილოლოგიის საეციალისტთა ვიწრო წრეში გადაინაცვლა. მაშინაც კი, როდესაც ევროპაში ახლად შეიგრძნო არქაიკის მშვენიერება, პინდაროსმა მაინც ვერ მოიპოვა საყოველთაო აღიარება.



**შენიშვნები:**

<sup>1</sup> ძველ ბერძნულ მელოსურ ლირიკას მკვლევარნი ორ სახეობად პყოფენ – ეს არის მონოდიური (პიროვნული) ლირიკა და ქორიკული (საგუნდო) ლირიკა. ორთავე ლირიკის ნიმუშები მუსიკის თანხელებით სრულდებოდა. მონოდიური ლირიკის წარმომადგენელი პოეტი თავად ასრულებდა თავის ქმნილებას და მსმენელებს საჯუთარ აზრებს უზიარებდა სიყვარულზე, შედღლზე,

თრობაზე და ყოველივე ეს იყო ნათქვამი მარტივი და ადსაქმელად მსუბუქი ფორმით. ქორიკული ლირიკის ნიმუშებს ასრულებდა მომდერალთა გუნდი (ქორო). ამ შემთხვევაში პოეტს უხდებოდა იმ საზოგადოების აზრის გათვალისწინება, ვისი სახელითაც იგი გამოდიოდა. ქორიკული ლირიკის თემა იყო დმერთებისა და გმირების სამყარო, გარდასული დროის დიდება. ოდებში ჩაქსოვილი იყო აზრები ცხოვრების არსებ, ამაღლებულზე, ბედსა თუ ბედისწერაზე. ქორიკული ლირიკის ფორმა იმდენად როული იყო, რომ საუკუნეების განმავლობაში მას კოსულობდნენ არა როგორც ლექსს, არამედ როგორც პოეტურ პროზას.

<sup>2</sup> იხ. Ancient and Oriental Musik, ed. by E. Wellesz, London, Oxford University Press New York Toronto, 1957 IX-X. Ancient Greek Mysik by U. Henderson. შდრ. ფსევდო-ლონგინოსი, ამაღლებულისათვის, XXXIX.

<sup>3</sup> ბერძნული ლირა (“კითარა”, “ფორმინქსი”) თავისი ხმადაბალი, ერთფეროვანი და წყვეტილი ხმიერებით საგვებით შეესაბამებოდა იმ მუსიკალურ იდეალებს, რომელსაც მოითხოვდა მასზე გაბატონებული სიტყვა. აზიური ფლეიტა გამოსცემდა უფრო ძლიერ, ხანგრძლივსა და მრავალფეროვან ხმებს, რითიც ქმნიდა სიტყვაზე გაბატონების შესაძლებლობებს. ძველ საბერძნეთში შეიქმნა მითი იმის შესახებ, თუ როგორ დასაჯა აპოლონმა სატირი ჩარსიასი იმის გამო, რომ მან გაბედა ფლეიტით მის კითარას გატოლებოდა. პლატონი თავისი იდეალური სახელმწიფოდან საერთოდ გააძევებს ფლეიტას. ამის მიხეზი აღბათ ის იყო, რომ ფლეიტის მიერ გამოცემული მუსიკალური ხმოვანებია ირაციონალური განწყობილების პირობებს ქმნიდა. საბას დექსიკონში ამ ინსტრუმენტის სახელწოდებას შეესაბამება ტერმინი “ავილი”, რომელიც აღბათ ფლეიტის ბერძნული სახელწოდებიდან (“ავლისი”) უნდა მომდინარეობდეს. რაც შეეხება კითარას, ამ საკრავის ქართულ შესატყვისობად შესაძლებელია მივიჩნიოთ “ჩანგი”.

<sup>4</sup> იხ. U. Henderson, დასახ. ნაშრ., გვ. 379-382.

<sup>5</sup> М. Л. Гаспаров, Древнегреческая хоровая лирика. В кн.: Пиндар, Вакхилид. Оды, фрагменты. М., 1980. ст. 352.

<sup>6</sup> პინდაროსი მოღვაწეობდა იმ პერიოდში, როდესაც თხზულებათა წიგნად გამოცემის ხელოვნება ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული. მისი ოდები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინახებოდა მსმენელთა მესიერებაში. წერილობითი ტექსტები თითო-თითო ეგზემპლარის სახით მოპერებოდა ტაძრებში, საჭალაქო არქივებსა თუ შემკვეთთა თჯახებში. სავარაუდოა, რომ პოეტის ქმნილებათა შეკრება დაიწყო მხოლოდ ძვ. IV საუკუნიდან, მაშინ, როდესაც განვითარებას იწყებს მწიგნობრული ხელოვნება. არისტოტელებს მოწაფე ქამელეონს (დაახლ. ძვ.წ. 300 წ.) პინდაროსისათვის მიუძღვნია მთელი თავი ჩვენამდე მოუღწეველ თხზულებაში ძველი პოეტების შესახებ. ამ მასალის საფუძველზე ძვ.წ. III საუკუნეში აღექსანდრიელ სწავლულებს შეუდგენიათ პინდაროსის თხზულებათა სრული კრებული 17 წიგნად, დაყოფილი ჟანრების მიხედვით. ამ გამოცემიდან უნდა მომდინარეობდეს პინდაროსის ოდათა ხელნაწერების ორივე ცალი – “პარიზული” და “ვატიკანური”, რომელთა საფუძველზე XIX-XX საუკუნეებში შესაძლებელი გახდა პინდაროსის ტექსტის აღდგენა. ალექსანდრიელ სწავლულებსავე, არისტოფანე ბიზანტიონელისა და არისტარქოსის მეთაურობით, მიერებებით პინდაროსის ტექსტის კომენტარებიც (ჩვენამდე მათ არ მოუღწევიათ). ძვ.წ. I საუკუნეში ამ კომენტარების საფუძველზე ცნობილ გრამატიკოსს დიდიმოს შეუდგენია ვრცელი კომპილაცია, რომელიც გამოუყენებით გვიანი დროის კომენტატორებს – სქოლიასტებს. სწორედ ამ უკანასკნელთა მიერ შედგენილი სქოლიონები პინდაროსის ტექსტისა შემორჩა ჩვენამდე. რამდენადც ეს სქოლიონები შედარებით გვიანი პერიოდისაა, შეცდომებისაგან დაზღვეული არ უნდა იყოს. ბევრი ცნობა ეჭვსაც იწვევს. მაგრამ მათ მაინც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. ამ სქოლიონებს ხშირად მიმართავენ პინდაროსის ტექსტის თანამედროვე კომენტატორებიც.

<sup>7</sup> პინდაროსის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. Anzeiger für die Altertumswissenschaft (AFA) 11, 1958, 65-88; 19, 1966, 289-322; 27, 1974, 1-34; და The Classical World 61, 1968, 265-279. 317-330; 373-385; 70, 1976, 132-157.

<sup>8</sup> პინდაროსის შემოქმედების მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ მითს პინდაროსთან აქვს დრმა აზრი, რომ იგი ორგანულად არის დაკავშირებული მისი ეპინიკიების იდეალისთან. (იხ. A. Koehnen, Die Funktion des Mythos bei Pindar. Interpretationen zu sechs Pindargedichten, Berlin (West) 1971. შდრ. აგრ. C. M. Bowra, Pindar, Oxford 1964, 288 და ა.შ.

მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, მითს პინდაროსთან მხოლოდ ორნამენტული ფუნქცია გააჩნია იხ. E. Thummer, Kommentar zu den Istmischen Gedichten Pindars, Heidelberg 1968. მისი პოზიცია გამოიკვეთა აგრეთვე AFA-ში მოთავსებულ სტატიაში (იხ. 27, 1974, 6). შდრ. აგრ. G. S. Kirk, The

Nature of Greek Myths, Harmondsworth 1974, 101.

<sup>9</sup> შდრ. E. Thummer, AfA 27, 1974, 2 და ა.შ.

<sup>10</sup> იხ. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, თბილისი, 1997, ტ. II, გვ. 139.

<sup>11</sup> უფრო დაწვრ. იხ. ნ. ტონია, “ზომიერების გრძნობიდან” (“μηδέν ἀγαν”) “სათანადო წამის” (“καιρός”) შეცნობამდე არქაულ ბერძნულ ლირიკაში. კრებულში: *Metánoia. ეძღვნება გრ. წერეთლის დაბადებიდან* 130 წლისთავს, თბილისი, 2001, გვ. 169.



**Nana Tonia**

*Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies*

### **Incorrigible Jenius (Pindar)**

#### **Summary**

In the ancient Greek poetry Pindar appeared while the chorric was flourishing, but the poet did not consider himself as the successor of the chorric armoury. The works of Pindar have survived quite well and they suggest to us that the poet transformed and variegated the chorric, inspiring new poetic tendencies as well. Signs of “conscious flow” and avant-garde have been discovered in ancient Greek poetry by researchers into antiquity. We propose that the origins of these signs could be found in the works of Pindar. The difficulties of understanding Pindar’s poetry arise from by a non-traditional poetic style, an associative manner of narrating, a metaphorical way of thinking and many other factors. The introduction to the first edition of Pindar’s odes in Georgian aims to make the depth of his poetry, which has still amazed and enraptured European audiences, more understandable to the Georgian reader. In the article the origins of the ancient Greek chorric and its evolution from Terpandros to Pindar are discussed, and the works of Pindar are analysed, focusing on the peculiarities of the interpretation of myths, the poetic maxims, and the metaphorical content of the odes.

